საქართველოს მთავრობის

განკარგულება №515

2014 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და 152-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადებები:

ა) ქალაქ გორისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და გორის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „გორის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ გორში;

ბ) ქალაქ ამბროლაურისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ ამბროლაურში;

გ) ქალაქ მცხეთისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „მცხეთის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ მცხეთაში;

დ) ქალაქ ოზურგეთისათვისთვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ ოზურგეთში;

ე) ქალაქ თელავისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და თელავის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „თელავის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ თელავში;

ვ) ქალაქ ახალციხისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალციხის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „ახალციხის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ ახალციხეში;

ზ) ქალაქ ზუგდიდისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ ზუგდიდში.

2. ახლად შექმნილი თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების: თელავის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გორის, ამბროლაურის, მცხეთისა და ახალციხის საზღვრები დაემთხვევა შესაბამისად, თელავის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გორის, ამბროლაურის, მცხეთისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების არსებულ საზღვრებს, შესაბამისი დასახლებე-

ბის – ქალაქების: თელავის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გორის, ამბროლაურის, მცხეთისა და ახალციხის არსებული საზღვრების გამოკლებით.

3. ამ განკარგულებაში აღნიშნული საკითხი შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**